ᲧᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოდოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულ-, რუსულს, სომხურს და სხვ. ენაზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲧᲚᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: Თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაღოვის სახლებში, № 8).

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡᲐᲓᲠᲔᲡ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ ᲦᲘᲠᲡ—5 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 11 Ივნისს. რუსეთი იმ პირობით დათანხმდა ბოლგარიის სამზღვრად ბალკანის მთების დანიშვნაზედ და ბოლგარიის ციხეებისა Ოსმალოების ხელში დატოვებაზე, რომ მაგიერად სამხრეთს ბოლგარიას მიენიჭოს საკუთარი მმართებლობა და იმის სამხრეთ სამზღვარზე, რეგულიარული ჯარები კი არა, Ოსმალოს მილიცია იქნეს დაყენებული.

სოფია ამ პროვინციაში იქნება ჩარიცხული. Ფარნა იქნება უმთავრესი დამცველი პოზიცია ბოლგარიისა.

ᲐᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲖᲔ რუსეთი აღარაფერს აღარ დაუთმობს.

Იმის თაობაზე—იქნეს თუ არა ევროპის ზედამხედველობას საბრეთ ბოლგარიაში—მოლიპარაკები შემდეგში იქნება.

Თ. ᲑᲝᲠᲩᲐᲙᲝᲕᲘ ᲐᲕᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲝᲒᲘᲜᲨᲘ ᲬᲔᲕᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ

(„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ)

Თქვენ მოგვიდოდათ, უეჭველია, თქვენი ᲫᲣᲚᲛᲘᲕᲘ სიონალელი კორრესპონდენტისაგან, ამბავი იმ სამწუხარო შემთხვევაზე, რომელიც ამ 4-ს ივნისს მოხდა ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ, სოფ. ᲑᲐᲙᲣᲠ-ᲪᲘᲮᲔᲨᲘ. Მაგრამ მაინც გიგზავნით ამ წერილს იმ იმედით, რომ იქნება საინტერესოდ დაინახოთ ამ საგანზედ კიდევ უფრო დაწერილებითი ამბების დაბეჭდვა.

Რამდენიმე დღის წინათ 4 ივნისამდინ ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ სიოფლებში გავარდა ხმა, რომ ხელ-ახლად უნდა მოკრიბონ ხალხი დრუჟინისთვისაო.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲚᲮᲔᲑᲘ, რომლებთანაც კი მქონდა ამ საგანზე ლაპარაკი, ერთ-ხმად ამბობდნენ, რომ ისინი, რასაკვირველია, არ ეწინააღმდეგებიან მმართებლობის ბრძანებასა, მაგრამ არამცა-და-არამც არ დათანხმდებიან იმაზე, რომ კენჭის-ყრით გაიყვანონ ხალხი მილიციონერებათ. „ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲪᲮᲐᲓᲦᲜ—რამდენი კაცი ეჭირებათ და ერთი-ორად, ერთი-სამად წარუდგენთ სულ დარჩეულ ბიჭებსაო და კენჭი კი ნუო!“ ᲐᲡᲔ ᲘᲫᲐᲮᲝᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ.

Მე კარგათ მესმოდა იმათი მსჯელობა: მართლაც, თქვენ, უეჭველია, გახსოვთ ის საძაგლობა, რომელიც მოხდა შარშან ჩვენში მილიციების აყვანის დროს და რომელიც სხვათა შორის თქვენს პატივცემულ გაზეთს „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘᲐᲪ“ რამდენიმეჯერ იყო აწერილი. რომელიმე საზოგადოება, ესთქვათ, ხუთი კაცი უნდა წარედგინა; მამასახლისები აცხადებდნენ, რომ 15 კაცს თხოულობს მთავრობა; ათს მდიდარს ქრთამს ართმევდნენ და ანთავისუფლებდნენ და ხუთი ღარიბი კი გაჰყავდათ, თუნდაც კანონით ამათ არც რგებოდათ ხვედრი.

ᲐᲛ ᲒᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ სოფლებში, საცა კი ხალხი გაყვანეს.

ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲘᲧᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ, რომელიც განსაკუთრებით აბრაზებდა ხალხს:

Მოგეხსენებათ, ეს თითქმის ათი წელიწადია, რაც ᲥᲘᲖᲘᲧᲘ დაღარიბდა და დასაწყლდა ცუდი მოსავლისაგან და შიმშილისაგან. Წელს კი ჩინებული, უხვი მოსავალია და ხალხი გაცხარებით მიეშურება მინდერის სამუშაოთ.

Აი ამისთანა დროში, საუბედუროთ, იმათ დაუწყდათ თავს ურემებით გამოსელა ხაზინის ბრძანებით. Მარტო ᲥᲘᲖᲘᲧᲘᲡ სოფლებიდამ 200 ურემზე მეტი გაიყვანეს. ᲐᲠᲐᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ, თუ სინიდისიანათ გაეყვანათ ხალხი ამ ბეგარაზე; მაგრამ უბედურობა ის არის, რომ სოფლის მოხელეები (მამასახლისები და სხვ.) აქაც იმ ოინს ჩადიოდნენ, როგორც მილიციონერების გაყვანის დროს: მდიდრებისაგან ქრთამებს იღებდნენ, ანთავისუფლებდნენ და ღარიბები კი, რომელთაც თითო ულელა ხარის მეტი არა გააჩნდათ-რა, გაჰყავდათ; გაჰყავდათ ისეთი ხალხი, რომელიც უიმისოთაც (ულამოძრობილია შიმშილისა და ჩვენი მხრის სომხებისაგან.

ᲐᲮ, ის წინამორბედი გარემოებანი, რომეთაც გამო ხალხი გაბრაზებული იყო და რომელნიც იყვნენ ნამდვილი მიზეზი 4 ივნისის შემთხვევისა.

Თვითონ 4 ივნისის ამბავი აი როგორ მოხდა:

ᲯᲔᲠ ᲛᲔᲔᲛᲝ ᲓᲐ ᲖᲔᲛᲝ-ᲛᲐᲩᲮᲐᲐᲜᲨᲘ მოგროვდა ხალხი და გადაწყვიტეს, რომ კენჭის-ყრის ნება არ მისცენ, შოითხოვონ უ ᲖᲓᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲒᲐᲜ სია გამოსაყვან მილიციონერებისა და მერე თავის ამორჩევით წარუდგინონ კაცები.

4 ივნისს სოფ. ᲐᲜᲐᲒᲐᲨᲘ (სიონალიდამ რვა ვერსზე იქნება და ᲑᲐᲙᲣᲠᲪᲘᲮᲔᲓᲐᲛ ხუთ ვერსზე) მოგროვდა 2,000 კაცამდინ სხვა-და-სხვა ახლო-მახლო სოფლებიდამ; ამათში 500-ზე მეტი დედა-კაცები იყვნენ. Დიდი ყაყანი და მოლაპარაკება ჰქონდათ; კენჭის-ყრით ხალხის გაყვანა „ᲚᲔᲒᲘᲠᲣᲢᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡᲝ,“ იძახდნენ და ამის ნება არ მიეცეთო.

ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲥ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲢᲠᲝᲘᲙᲘᲗ ᲡᲐᲠᲬᲚᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲛᲐ ᲑᲐᲠᲝᲜ ᲢᲘᲖᲜᲐᲣᲖᲔᲜᲛᲐ; ის მიდიოდა სოფ. ᲑᲐᲙᲣᲠ-ᲪᲘᲮᲔᲨᲘ იმ განზრახვით, რომ ენახა ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ თ. სოსიკო ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ და ეთხოვა იმისთვის ორასი ყაზახი რუსი, რადგან გაგონილი ჰქონდა, რომ ხალხში რაღაცა მღელვარება არისო.

Მაგრამ ხალხმა გააჩერა უეზდის უფროსი და მოსთხოვა იმას, უმაღლეს მთავრობისაგან გამოგზავნილი სია—თუ რამდენი მილიციონერი უნდა გამოიყვანონ თითეულ საზოგადოებისაგან.

Უეზდის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, თარჯიმნის თ. ᲐᲜᲓᲠᲘᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ, რომ სია თან არა აქვს, სიენალში აქვს, რომ კენჭის-ყრა უნდა იქნეს და რასაც კანონი თხოულობს, უნდა შეასრულონო. Მაგრამ ამის სიტყვა ხალხს არ ეშმოდა, ხალხის სიტყვა ამასა. Შეიქნა ერთი ყვირილი, ღრიალი, მუქარა დაუწყეს... Უეზდის უფროსმა შეატყო, რომ შეიძლება აქ საქმე ცუდათ გადავდესო, და ᲢᲠᲝᲘᲙᲘᲡᲙᲔᲜ წავიდა, სჯქაროთ ჩაჯდა და ᲑᲐᲙᲣᲠ-ᲪᲘᲮᲔᲡ გასწია. Ეს აუარებელი ხალხი აედევნა იმას და ᲑᲐᲙᲣᲠᲪᲘᲮᲔᲛᲓᲘᲜ მისდია, სადაც ამ დროს, დღესასწაულობის გამო, თ. Რევაზ ᲨᲐᲩᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ მიწვე-

ულნი იყვნენ: ალაზნის ჯარის უფროსი თ. ორბელიანი, პროკურორის თანაშემწე უფ. ბუღიმ-ლევკოვიჩი, გამომძიებელი უფ. ხოსროევი, თ. ორბელიანის ადიუტანტები და სხვ.

ხალხი, რომელსაც ქალები მიუძღოდნენ წინ, მიადგა პირ-და-პირ თ. რ. ვაჩნაძის სახლს და მოითხოვეს, რომ უეზდის უფროსი მოგვეცითო.

აი აქ მოხდა ის უწესობა, რომელიც თქვენ უკვე უნდა იცოდეთ. დედა-კაცები და ბამა-კაცები შეცვივდნენ სახლში, ნახეს უფ. უეზდის უფროსი, სცემეს ჯოხებით და ეზოში ათრიეს; თ. სოსიკო ორბელიანი ბალკონიდამ გადმოაგდეს და ამ დროს ხის ფეხი გაუტეხეს, იმასაც ბევრი სცემეს, სცემეს აგრეთვე პროკურორის თანაშემწესაც; უფ. ხოსროევს რამდენიმე წაარტყეს, მაგრამ მერე იცნეს და ხელი აღარ ახლეს და სხვ.

ყურ-ადღების ღირსია, რომ ყველაზე პირველად თ. სოსიკო ორბელიანს და აგრეთვე სხვებსაც ქალები მივარდნენ და იმათ დაუწყეს ცემა. ჯაჯებივით გაბრაზებულები იყვნენ, ლეჩაქ იხდიდნენ და ახურავდნენ თავიანთ ქმრებსა და ძმებს, რომელნიც ამ ცემა-ტყეპაში არ ერეოდნენ.

მთელი მებელი, ჭურჭელი, ავეჯულება და სხვა ყველაფერი, რაც კი მოხვდათ ხელში თ. რევაზის სახლში, სულ დაამტვრიეს, გაანადგურეს და გააფუჭეს.

თვითონ კი ერთი გროშის საღირალი არა წაულიათ-რა. ადიუტანტს დაექრთამა ერთი დედა-კაცი, ოღონდ დამიფარე და ეს ოქროს საათი და თუმანი ფული შენ გქონდესო. მეორე დღეს ხალხმა საათი და ფული უკანვე წარმოადგინა.

ერთი ნახევარი ხალხისა ბაკურ-ციხიდამ სილნაღისაკენ წამოჰყვა უფ. უეზდის უფროსს, რომელმანც გამოაცხადა, რომ სია იქა მაქვსო; ის ჩასვეს იქვე ტროიკაში, ორი ბიჭი ჩაუსვეს და სოფ. ანაგამდინ მიიყვანეს; იქ კი გაუშვეს.

მეორე ნახევარმა კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, ჯერ თ. რევაზის სახლი აიკლო, მერე აიკლეს ამ სოფლისავე მამასახლისის სახლი, აიკლეს აგრეთვე რამდენიმე სხვა სოფლები: ანაგის, ქარდანახის, საქობოს მამასახლისები, სცემეს რამდენსამე მებატონეს, გააუპატიურეს ორი მღვდელი და საღამოს თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

აი, ეს შემთხვევა, რომელიც ასე უდროოთ მოხდა.

სრული იმედია, რომ უმაღლესი მთავრობა ისეთს ხასიათს არ მისცემს ამ შემთხვევას, რომელიც არა აქვს. თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ ლეკების სამზღვარზე დასახლებული ქიზიყელები მუდამ იცვამდნენ ჩვენ მხარეს ლეკებისაგან, რომ ეს მხნე ხალხი მეფე ერეკლეს დროს ამისათვის განთავისუფლებული იყო ყოველ გარდასახადისაგან, რომ ისინი რუსის მმართველობისათვის გამოსადეგი არიან მტრის წინააღმდეგ; მეორე რით, თუ წარმოიდგენთ იმ გაჭირებას შევიწროებას, რომელიც ამათ მიაყენეს სოფლის მოხელებმა და მესამედ იმასაც, რომ ამ საქმეში არავითარი პოლიტიკური არა ყოფილა-რა, მაშინ იმედია დამეთანხმებით, რომ ამ გვარი შემთხვევა ამათის მხრით საპატიებელი თუ არა, ადვილად გასაგებია.

დიდის სიამოვნებით შემიძლია გაცნობოთ, რომ უმაღლესს მთავრობასაც ასე შეუხედავს ამ საქმისათვის: ჩვენში მოსული თფილისის ღუბერნატორი არავითარ „სასტიკ ზომებს“ არ ხმაროობს ხალხის წინააღმდეგ; ჩვენ შევიტყეთ, ბრძანება არისო, რომ არამცა-და-არამც ჯარი არ უნდა იხმაროთ ხალხის წინააღმდეკაო; მხოლოთ მოთავე კაცებს დაატუსაღებენ და დასჯიანო.

ამ ჟამად აქეთკენ სრული შვიდობიანობაა; ხალხი მინდორში წავიდა სამუშაოთ; ღუბერნატორს განზრახვა აქვს დაიაროს სოფლები და გამოიკვლიოს როგორც ეს საქმე, აგრეთვე საზოგადოთ ხალხის უკმაყოფილების მიზეზი და იმის მდგომარეობა.

ამ საქმის თაობაზე, როგორც მითხრეს, ჯერ-ჯერობით 25 კაცამდინ არის დატუსაღებული.

თ. სოსიკო ორბელიანი და უფ. უეზდის ნაჩალნიკი ამ ჟამად სრულებით კარგათ არიან და ორივე თავის თანამდებობას ასრულებენ. უფ. ბუდიმ-ლევკოვიჩი კი, ამბობენ, თელავში წევსო.

კომიკური მხარეებიც იყო ამ დრამატიულ შემთხვევის დროს:

როცა გაბრაზებული ხალხი თ. რევაზ ვაჩნაძის სახლს მიადგა და ჰყვიროდნენ— „ნაჩალიკი მოგვეცითო!“ ამ დროს თ. ილია აბხაზი შიგ შუაგულ ხალხში იდგა, ჩიბუხს ეწეოდა და ცდილობდა, რომ ხალხი დაეშოშმინებია. ამისთვისაც იმან შემდეგი მახვილი ღონის-ძიება მოიგონა: როგორც კი დაინახავდა, რომ როველიმე გლეხი ერთობ გაცხარებულია და თ. რევაზის სახლისაკენ იწევს, იმ წამსვე ჩიბუხში ახალად თამბაქოს ჩაჭყრიდა, მივიდოდა იმ გლეხთან და ეტყოდა:

ძმაო, ძმაო, ერთი დაუკვესე შენგაზდას!

გლეხი შეჩერდებოდა; სანამ დაუკვესაედა და სანამ თ. ილია აბხაზი ნელნელა თავის ჩიბუხს მოუკიდებდა, იმას კიდეც გაუგრილდებოდა გული და დაშოშმინდებოდა.

ახლა მეორე გლეხს დაინახავდა, რომელიც აგრეთვე ძალიან ცხარობს; იმწამსვე ჩიბუხს დააცარიელებდა, კიდევ თამბაქოს ჩაჭყრიდა და მივიდოდა იმ გლეხთან იმავე წინადადებით:

— აი-იქნა, ძმაო, ერთი დაუკვესე, დაუკვესე შენ გაზდას!

ამ ნაირად იმ არეულების დროს უკანასკნელი ოცი ჩიბუხი დაცალა, ოცი კაცი დააშოშმინა, მაგრამ საუბედუროთ, ერთობ ბევრი იყო დასაშოშმინებელი და ყველას ყერ გაუვიდა.

მეორე კომიკური შემთხვევა:

ხალხი შეცვივდა თ. რევაზ ვაჩნაძის სახლში და რაც რამ მოხვდა ხელში, სკამები, სტოლები, სარკეები, ჭურჭელი და სხვა ყველაფერს ამტვრევდა; გადარჩა მხოლოთ ზალაში დაკიდული ძვირფასი ლიუსტრა (კანკელი), რომელიც ამ აყალ-მაყალში, რა საკვირველია, არავის დაუნახავს. რადგან ხალხი მაღლა არ ხედებოდა და მხოლოთ იმის ამტვრევდა, რაც ხელში შეხვდებოდა. მაგრამ ამ დროს თ. რევაზს მოაგონდა ეს კანკელი, მიუთითა ზედ ხალხს და სთხოვა:

— თქვენი სულისა, ბიჭებო, ამ კანკელს ნუ დამიმტვრევთ და სხვა რაც გერჩიოსთ, გააფუჭეთ!

რამოდენიმე გლეხმა იმ წამსვე აიხედეს ზევით და დაინახეს თუ არა კანკელი, მოსდეს ჯოხი და ერთი თვალის დახამხამებაში ამ ჩინებული ლიუსტრისაგან კვალიც აღარ დარჩენილა...

ᲓᲚᲘᲣᲠᲘ

** რამდენჯერმე იყო ჩვენს გაზეთში საჩივარი ცხინვალიდამ, რომ აქაური ხალხი ძალიან შეევიწროეული არის იმისაგანაო, რომ ბორის მომრიგებელ სასამართლო ერთობ შორს არისო და ამის გამო უბრალო საჩივრისათვის, ან მოწმობისათვისაც ხალხი ორ-სამ დღეს კარგავს და ხარჯსაც ეწევაო; და ამის გამო ურიგო არ იქნებაო, რომ ცხინვალში ცალკე სასამართლო გაიმართოსო.

ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ხალხის სურვილი მიუღია მთავრობას ყურადღებაში და სოფ. ცხინვალში მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობის აღმასრულებელად უფ. ორბელი დაუნიშნავთ.

** ჰავლაბრის მცხოვრებლები თავი პოლიციას (მეორე განყოფილების მე-14 უბასტკას) უჩივიან. რაც უნდა საჩივარი შეიტანო, კმაყოფილებას ვერ მიიღებ, თუ პოლიციის წვრილ მოხელეებს არაფერი ჯილდო მიეცითო...

სხვათა შორის, ამ დღეებში ერთი ვიღაც გლეხისათვის საშინლად ეცემად იქაურ ყასბებს; გლეხი წასულიყო, ეჩივლა, მაგრამ თვითონვე გაემტყუენებინათ და ყასაბი კი იმწამსვე გამოეშვათ.

** ბასულ შაბათს, საღამოს 10-საათზედ მთავარმმართებლის სასახლის წინ ჩამოვარდა მეხი, რომელიც დაეცა იმ დროს იქ გამვლელ ორ ვიღაც კინტობიჭებს. ერთი ამათგანი იქვე მოჰკლა; მეორე კი, როგორც გვითხრეს, გაარეტიანა, გაგიჟდაო და გუშინ დღეს მოკვდაო. იმ ადგილს, საცა მეხი დასცემია, მიწა ამოთხრილია და ხე სრულებით გატრუსული.

** ბორიდამ გვწერენ, რომ იქაური სომხის საქალებო სკოლის საქმე ძალიან ცუდათ მიდის თურმე. მიზეზსაც

ამას აბრალებენ, რომ მასწავლებლები არ უვარგა შკოლასაო. სხვათა შორის ერთს მასწავლებელ ქალზედ—ე. ა—ზედ იწერებიან, რომ ამას წინათ იმან ისეთ ნაირად სცემა ერთს შაგირდს პატარა ქალსაო, რომ კაბა სულ დააფხრიწაო და მას აქეთ ეს შაგირდი ერთის კვირის განმავალობაში ავათ იყოო.

** ბაქოს გაზეთში იწერებიან, რომ იქაურ ქალაქის ბამგეობას გადუწყვეტია მუდამ წელიწადს 350 მანეთი გადადვას თავის შემოსავლიდამ და ამ ფულით ერთი ქალი გამოზარდოს რუსეთის უმაღლესს საქალებო სასწავლებელში.

** ამავე გაზეთის სიტყვით, უფ. პალიბინის ნავთის დიდს ტბასა როგორლაც მოჰკიდებია ამ 29 მაისს ცეცხლი და მთელი ეს ნავთის ტბა სულ დამწვარა. ამბობენ, ერთი მილიონი ფუთი ნავთი იქნებოდა ამ ტბაშიო.

** „დროების“ რედაქციასაც ეწვიენ ქურდები. ორშაბათს, ღამით, ვიღაც მარჯვე ბიჭი შემოვიდა რედააქციის სადგომის გაღებულს ფანჯარაში, წაიღო იქიდამ ოქროს საათი, ვერცხლის ლიტრა, ვერცხლისავე საფერფლე და იმ გზითვე წავიდა.

ქურდის სიმამაცეს გაიგებთ, როცა გეტყვით, რომ ეს ქურდობა უნდა მომხდარიყო უეჭველად გათენებისას 4 ან 5 საათზე, ისეთს გამოჩენილს ალაგას, როგორიც სერგიევის ქუჩაა, მეორე ეტაჟაში, და იმ ოთახში, რომელშიაც იმ დროს ორი სული იწვა...

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 10 თებათვე. როგორათაც ბრძანება იყო მილიციის მოთხოვილებაზე, ამ თვის 8-ს მოხდა აქ კენჭის-ყრა.

ამ დროს დაესწრო აქ თვითონ აქაური მაზრის უფროსი და ამასთან რამოდენიმე ჩინოვნიკები. სრული მშვიდობიანობა და წესიერება სუფევდა აქ საზოგადოებაში, თუმცა მრავალნი იყვნენ შეყრილნი ზედ შუა მეიდანზე, სადაც უნდა მამხდარიყო კენჭის-ყრა.

პირველად გამოუცხადეს ხალხსა, რომ აქ ადგილობრივ, სიღნაღში, არიან ამორჩეული კომისიისაგან კენჭში ჩასაგდებათ 896 სული, 19 წლიდგან 30 წლამდისინ; ამათგანს უნდა ერგოს კენჭი 34-ს, 17 იქნება ნამდვილი მილიციონერი და 17-იც ამათი კანდიდატი. ამ 34-ის გარდა სხვები იქნებიან თავისუფალი. ესეც უნდა იცოდეთო, რომ ასო ნაკლები, სნეული და სამართალში მიცემულებიც არიან ამორჩეული, მხოლოდ ამათგანსა, რომელ საც ერგება კენჭი, შემდეგ შეუძლიანთ თავის საფუძველი და მიზეზი შეიტანოს და გამოუცხადოს საზოგადოებისაგან ამორჩეულ კომმისიას, რომელიც მოვალე არის სიმართლით შეამოწმოს და გაანთავისუფლონ ისეთი პირნი, რომელნიც კანონისაგან განთავისუფლებულნი არიან. ბარდა ამისა მეორე გილდის ვაჭარნი არიან თავისუფალნი ამ საქმეში.

შემდეგ წაიკითხეს სია ამორჩეულ ხალხისა ყველასი სახელობრივ.

უნდა ჭეშმარიტად და სიმართლით მოგახსენოთ, რომ მართლაც მადლობის ღირსია აქაური კომისია, რომელიც კენჭის-ყრისთვის ამორეული იყო საზოგადოებიდგან ნაჩალნიკის გამოცხადებით. ეს ხსენებული კომისია პირნათლივ დარჩა საზოგადოებასთან და ცხადათ უჩვენა სიმართლე თავიანთ მინდობილ საქმეში.

უეჭველია, ამ გარემოებას მიეწერება, რომ ეს კენჭის-ყრა მილიციონერებისა აქ ასე მშვიდობით და წესიერათ გათავდა.

სომხის მღვდელი ტერ-ელიშე.

ახალქალაქი, 7 ივნისს. წრეევანდელმა წვიმებმა ლამის დაგვალპოს. მთელი გაზაფხული ყოველ ცისმარე დღეს წვიმდა და ეხლაც წვიმს. ამ გვარად დაჭინებულმა წვიმებმა უზარალოთაც არ ჩაიარეს, ხანდისხან ისეთ ნაირი ქარიშხალი და სეტყვა სტყდებოდა, გეგონებოდათ ეს ესარი ქვეყანა უნდა წაირღვნასო.

სოფლელებს ბევრი ეზარალათ, სახლები ბევრს თავზე დაანგრია, წყლით აუმპო ასე რომ სახლის პატრონები მეზობლებს ბანიდგან აჰყავდათ თოკებით. მაგრამ უფრო შესანიშნავი ზარალი მაისის 25-ში სოფ. დილისკაში მოხდა: საღამოსხანს შინ მომავლებულ ნახირიდგან 40 ძროხა მეტი მაიტაცა ნიაღვარმა. „ცხვარში მგელი შევარდაო და ვაი ერთის პატრონსაო“. ამ ანდაზისა არ იყვეს, საწყლები უფრო იმისთანა ოჯახები დაზარალდნენ, რომელთაც ერთათერთი ძროხა ებადათ და იმითი ჰკვებამდნენ თავის წერილ-შვილს.

არც ჭირნახული გადარჩა უზარალოთ, ძალიან ბევრგან, მეტადრე ფერდობებზე ნიაღვარმა ჯეჯილები სრულებით წალეკა.

ბზებიც ყველგან ძრიელ დახრამა, ასე რომ ფოჩტა კვალანდებულზე მთელი დღე იგვიანებს.

ზაფხული კი არა; ჩვენ ჯერ მასის სუნიც არ მოგვდენია; რაც უნდა ძლიერ დაცხეს 10-14 გრადუსზედ მეტი არ ადის.

ეხლა ქართლ-კახეთში საცაა მკას დაუწყებენ და აქ კი ჯერ თესვა მაისის დამლევს გაათავეს და ჯეჯილებმა იმდენათ შემოსეს მინდვრები, რომ ტოროლა ჩიტები ძლივს იმალებიან. მაგრამ რას იტყვი, რომ მთელ კავკასიაში პურის და ქერის მადანი ამ ახალქალაქის მაზრაა?...

ზემო თქმული ნიაღვრები და მისგან ზარალი რა სახსენებელია, თურომ მივიღებთ მხედველობაში იმ გასაოცებელ და შემაძრწუნებელ ამბავს, რაიც ნიაღვარს ალექსანდრეპოლში მოუხდენია, სადაც, როგორც მნახველები გვაჯერებენ, სამი მილიონი მანეთის მეტი ზარალი მიუცია. ეს საშინელი წარღვნა მაისის 30-ში მომხდარა, ხალხი თურმე არხეინათ იყვნენ, არც წვიმა, არც არაფერი ამბავია მხოლოთ მოსმიათ, რომ მთაში საშინელი დიდი წვიმა და სეტყვა ყოფილა და ამ დროს უცებ ერთის საშინელის ხუილით მოსწოლია შუა ქალაქს უშველებელი კედელივით ნიაღვარი და რაც კი გზათ შეხვედრია, სულ წმინდათ წაუღია თან. ნივთიერ ზარალს ვინ სჩივის, 500-მდე მეტი კაცი აკლიათ და ჯერ 200-მდე მხოლოთ უპოვიათ ტალახში წამარხულნი.

ერთის სიტყვით მეორეთ-მოსვლას რომ იტყვიან, ნამდვილი ის ამბავი ყოფილა. მეიდანზე სასწორთან აქლემები და ხარ-კამეჩები აიტიეტივა და ისე მიაქანებდაო, და აქედგან შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რამოდენი ძალა ჰქონია და ან რა ზარალს მოიტანდა. სარდაფებიდგან ხომ რაღა სათქმელია, ძვირფასი საქონლით სავსენი სულ თან წაუღია და შენობები მეიდნის დასწვრივ რაც დუქნები იყო სულ საძირკვლიანათ მოუტაცია, ასე რომ სრულებით ტრიალი მინდორი დარჩომილა. თითო ასეთი ქვითკირის სახლი დაუცია ყირაზე, რომ მნახველს ეხლაც არა სჯერა თუ წყალს ამოდენი შეეძლოსო.

ვინც ალექსანდრეპოლის მდებიერობა იცის, ამ გვარი ნიაღვარის მიზეზს ახსნა ადვილია. ქ. ალექსანდრეპოლი თითქმის ოთხსავ კუთხივ გარშემორტყმულია ტიტველა გახრიაკებულ მაღალ მთებით, რომელთა ფერდობებიც ამ გვარათვე გახრიაკებულნი თავდებიან იმ ალაგას, სადაც ქალაქია დაშენებული, ასე რომ ჩინური ჯამის მონაგვარი რაღაც გამოდის. ასე გაშინჯეთ მგზავრი რომ უახლოვდება ქალაქს, სანამ ცხვირს შიგ არ შეჰყობს ვერ მიხვდება თუ იქ ქალაქია

დაშენებული. აბა რაღა თქმა უნდა, რომ მთელი მთებიდგან გამოქანებული ნიადაგარი ამ ამოქვაბულ ალაგს მიაწვებოდა და წარდენილა მთელ ქალაქს. ამასთანავე თვითონ ალექსანდრეპოლის ნიადაგიც რაღაც გვარი ფხვიერი ქვიშისაა და ნიადაგარი ადვილათ გამოაცლიდა საძირკველს ყველა შენობებს.

მაინც-და-მაინც როგორც ალექსანდრეპოლის გარეშემო მდებიარობა თავის უმცენარობით და ტიტველა მთებით აწუხებს გულს, აგრეთვე თვითონ ქალაქის თუნდ საუკეთესო შენობებიც გულს შემოჰყრიან კაცს, წარმოიდგინთ მომეტებული ნაწილი ქალაქისა შავი მჭადა თლილი ქვით არის აეშენებული და ამ შავ ქვებ შუა ჰტყლათ თეთრი კირის ზოლებიატანია, გეგონებათ მთელი ქალაქიშავეშია შემოსილიო. ასე რომ წინათვე „მგლოვიარე ქალაქის“ შეხედულობა ჰქონდა და ახლა ხომ რაღა თქმა უნდა აქვს მიზეზი გლოვისა!....

Ილ. Ალხაზაშვილი

ნარევი

ამბობენ, რომ საუკეთესო წამალი „ნიკოლოსის ქარებით“ ავათმყოფისთვის ფუტკარი არისო. რამდენიმე ფუტკარს (იმერულად—სკას ანუ ბზიკს) უნდა აკბენინოს ავათმყოფმა იმ ალაგას, საცა ქარები აქვს და მოარჩებაო.

*
* *

Იმერული მოხერხების მინუში:

რაღაცა საქმის თაობაზე Ოკრიბელ მღვდელსა და ერთს იმერელ: ამ დღეებში ჩხუბი მოსვლიათ და პატივცემულ ხულიერ მამას კარგა ლაზათიანათ მიებერტყა გლეხი.

Გლეხმა ხიფილი დააპირა, მაგრამ მოწმად ერთი კაცის მეტი არ დასწრებია და ისიც უარს ამბობდა თურმე—მღვდლის წინაალმდეგ მოწმედ როგორ დავდგებიო.

Გალახული გლეხი ადგა და თვითონ ამ მოწამეს უჩივლა, რომ ამან მცემაო.

— რად სცემეო? ჰკითხა მოსამართლემ მოწამეს.

— მე, ბატონო? ჰა, თქვენ არ მომიკვდეთ, რა გორც თქვენ არ შეგეხებიანართ, ისე მაგისთვის ხელი არ მიხლია!

— როგორ არა, აი საჩივარი შემოუტანია. სწორეთ სთქვი, თორემ სასჯელი მოგეცემა!

— მე არა, ბატონო; მღვდელმა გალახა, თქვენ ნუ მომიკვდებით!

— Ამიშენდა შენი ოჯახი! მეტი არა მინდა-ა, ბატონო მოსამართლე, დაიხსომეთ რომ ეს მოწამეა! Ახლა მღვდელზე შემოაქვს საჩივარი!— Თქვა იქვე მდგომმა მღვდლისაგან გალახულმა.

*
* *

წელს ენკენისთვიდამ პეტერბურღში ხსნება უმაღლესი კურსი (უნივერსიტეტი) ქალებისათვის, რომელშიაც ორი ფოკულტეტი იქნება—სიტყვიერებისა და ბუნებითი მეცნიერების. Ლექციებს უნივერსიტეტის პროფესორები წაიკითხავენ. Თითო მოსწავლე ქალმა წელიწადში ლექციების სმენისთვის 50 მანეთი უნდა გადაიხადოს.

განცხადებანი

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

„სამზარეულო წიგნი“

შედგენილი ქნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

(3—3)

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ბრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ ღუქნებში, № 2.

Გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ქ. ბოლოში არის ხუთ-თვალიანი გასაქირავებელი სახლი

უფ. ჟურულისა თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

Სახლი დგას როტონდის გვერდით. Ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება ბოლოში უფ. Ალალო Თუთაევთან.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი .	9	21	5	18				
Მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
Ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
Უკირილა .	5	49			5	81	3	23
Ციონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია.	7	51			7	73	4	29
Ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
Ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
Ფოთი . .	9	83						
Ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
Ციონი . .	12	13			3	4	1	69
Უკირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
Ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
Მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
Თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:		
ქუთაისს, Ფოთს . .	1	—
Ბორს, Დუშეთს, სიღნაღს	-	50
Როსტოვს, Ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, Ვარშავას . .	2	—
Ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
Იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) Თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. Ოზურ.—პარასკ. და ორშ. Ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: Თფილისისა და Ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და საზღვარ გარეთ:	
Ლია წიგნის	4
Დაბეჭდილის (საბრ მისსალი) .	8

მაზანდა		
Თფილისი, 12 ივნისს.		
Ფქვ. თეო. Ბანჯისა, ფუთ.	1	40
Ფქვილი წითელი. . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	15
Ბამბა Ერევნისა, ფუთი .	7	50
—Ამერიკისა, ფუთი . .	8	50
Ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
Მატყლი თუშური ფუთ.	6	50
—Მარაქამისა ფუთ. .	4	50
Აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	6	60
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა .	—	99
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	70
—ფხვნილი ფუთი . .	6	20
Ყავა გოგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
Თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

Ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

Ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

Ორშაბათს: ქიუჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავათმ.

Სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.

Ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და Ობრეზტი—ყბილის.

Პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.